ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1587909

ნომერი: AR1264440

თარიღი : 09.11.2014

გაცემის თარიღი : 14.11.2014

გაცნობის თარიღი : 14.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გახოკიძე , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მუნჯიშვილი პ/ნ 01030031279
- ვაზისუბანი 3 მ/რ. 1 კვ. 1 კორპუსი, ბინა 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გახოკიძის ქუჩა #4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.19.005.005) საწყობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ AR132780 (24.03.2012) განცხადების საფუძველზე სასაწყობე შენობა-ნაგებობის ასაშენებლად #96929 (27.03.2012) გადაწყვეტილებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. გამომდინარე აქედან, თუ აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ნაწარმოებია მშენებლობა და მიღებულია ექსპლუატაციაში, იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს საკითხი ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი მდგომარეობით ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული და დამატებით გსურთ კიდევ ახალი სასაწყობე შენობა-ნაგებობის განთავსება, აღნიშნული არ საჭიროებს ახალი მიწის ნაკვეთის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ #96929 (27.03.2012) გადაწყვეტილებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.